დანართი № 1

დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ნოემბრის № 126/2021 დადგენილებით

აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

პრეამბულა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია წარმოადგენს კულტურულ, შემოქმედებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრს, რომლის საქმიანობა ეფუძნება კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილ ინტელექტუალურ კაპიტალს და განაპირობებს დაწესებულების უნიკალურ ნიშას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

კონსერვატორიის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი ახორციელებს საგანმანათლებლო, შემოქმედებით-სამეცნიერო და საექსპერტო-სერვისულ საქმიანობას, რაც განსაზღვრულია სამუშაოს შესრულებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული მართვის სტრატეგიებით და ითვალისწინებს პერსონალის შენარჩუნების, მოზიდვისა და განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკას.

1. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორია) ეფექტიან საქმიანობას საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებებით.

2. მოქმედების სფერო

აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია განმარტავს სასწავლო პროცესში ჩართული კონსერვატორიის ადამიანური რესურსის დაგეგმვის პროცესს, პროცედურასა და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს;

ადამიანური რესურსის დაგეგმვის მეთოდოლოგია ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

3. აკადემიური პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია

სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკითა და საჭიროებებით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტუდენტების საერთო რაოდენობისა და ადამიანური რესურსის თანაფარდობის მაჩვენებლით;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არჩეული და მოწვეული აკადემიური პერსონალის თანაფარდობით;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის გათვალისწინებით;

ე) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ბოლო 4 წლის სტატისტიკური მონაცემის გათვალისწინებით;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კომპონენტებზე ჯგუფში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების გათვალისწინებით;

ზ) ინდივიდუალური სწავლების ფარგლებში კონსერვატორიის არჩეული აკადემიური პერსონალისათვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

თ) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სემესტრის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო დისციპლინებზე კვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობის გათვალისწინებით;

ი) კონსერვატორიის არჩეული აკადემიური პერსონალისათვის დადგენილი საკონტაქტო საათების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კ) კონსერვატორიის *სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის* მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებით;

4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები

1. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სულ მცირე 70%-ის განხორციელებას უზრუნველყოფს კონსერვატორიის არჩეული აკადემიური პერსონალი.

2. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების განხორციელებას მოწვეული აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს მაქსიმუმ 30%-ის ფარგლებში.

3. კონსერვატორიის არჩეული აკადემიური პერსონალი ინდივიდუალური სწავლების ფორმატში უფლებამოსილია ასრულებდეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ განაკვეთურ სასწავლო-საათობრივ დატვირთვას (სამივე საფეხურის აკადემიური პროგრამების ფარგლებში).

4. ამ მუხლის 1-ელი და მე-2 დათქმა არ ვრცელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ა) რომელთა ფარგლებში შეისწავლება დეფიციტური საკრავები ან/და შემოქმედებითი აქტივობები ხორციელდება დეფიციტური საკრავების ჩართულობით; ბ) რომელთა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სწავლის შედეგების მიღწევა საჭიროებს მუდმივად განვითარებად გარემოში მოღვაწე პრაქტიკოსი შემოქმედის გამოცდილებას (მაგ. მუსიკის ტექნოლოგია); გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ განეკუთვნება მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალურ სფეროს (ISCED კოდი 0215, მაგ. მუსიკის ჟურნალისტიკა);

5. გარდამავალი დებულებები

1. აღნიშნული მეთოდოლოგია მტკიცდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ.

2. წინამდებარე დოკუმენტი აუქმებს კონსერვატორიის არჩეული და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სხვა, მანამდე მოქმედ წესს, რეგულაციასა თუ დადგენილებას;

3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები აისახება მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგების ანალიზის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობით გამოწვეული საჭიროებების და/ან რელევანტურ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების შესაბამისად;

4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების დამტკიცებას ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო და/ან სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე რექტორის წარდგინებით;

5. მე-3 მუხლით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მიმართულების/კათედრის ხელმძღვანელთან კოორდინირებით და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

ბ) ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო დეპარტამენტთან, რექტორის, ადამიანური რესურსების მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით ამუშავებს მიწოდებულ ინფორმაციას დადასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

გ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პერსონალის ზღვრული რაოდენობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით და წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს კონსერვატორიის საშტატო ნუსხის პროექტში შეყვანის მიზნით საჭიროებიდან გამომდინარე